ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№2

ქ. ქუთაისი 12 ივნისი 2015 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ მიქიაშვილი – ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე.

ირაკლი ავალიანი – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.

მალხაზ ბასილაძე – ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.

ირაკლი გიორგაძე – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით, ქალაქ ქუთაისში დავით და კონსტანტინეს ქუჩიდან ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე ასასვლელი კიბეების, დავით და კონსტანტინეს ქუჩიდან ბაგრატის ქუჩაზე ასასვლელი კიბეების, გაპონოვის მე-2 შესახვევიდან კიბულის ქუჩაზე ასასვლელი კიბეების, წერეთლის ქუჩიდან წერეთლის მე-3 შესახვევში ასასვლელი კიბეების აღდგენა-რეკონსტრუქციის და გაპონოვის ქუჩაზე, გაპონოვის მე-4 შესახვევთან მდებარე მვეთრი მოსახვევის ჯებირის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების განხილვის შესახებ. (საკონკურსო განცხადების №1688. 08.06.2015 წ.)

განხილვა: საკონკურსო კომისიის წევრმა ირაკლი ავალიანმა კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა 2 (ორი) კონკურსანტმა:

1. შ.პ.ს „LIVE DESIGN"– 2700 (ორი ათას შვიდასი) ლარი.
2. შ.პ.ს „სასამართლო ექსპერტიზის არქიტექტურისა და მშენებლობის ეროვნული ცენტრი" – 2800 (ორი ათას რვაასი) ლარი.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით საკონკურსო წინადადების და საკონკურსო ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 12 ივნისს 12:30 საათამდე პერიოდით.

განიხილეს: შ.პ.ს „LIVE DESIGN"-ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

შ.პ.ს „სასამართლო ექსპერტიზის არქიტექტურისა და მშენებლობის ეროვნული ცენტრი"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

აღინიშნა, რომ შედარებით უკეთესი ანალოგიური სამუშაო გამოცდილება აქვს შ.პ.ს „სასამართლო ექსპერტიზის არქიტექტურისა და მშენებლობის ეროვნული ცენტრს".

ამის შემდეგ განხორციელდა კონკურსანტების შეფასება.

შ.პ.ს „LIVE DESIGN"-მა მიიღო - 22,6 ქულა.

შ.პ.ს „სასამართლო ექსპერტიზის არქიტექტურისა და მშენებლობის ეროვნული ცენტრი"-მ მიიღო - 23,2 ქულა.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ: ნოდარ მიქიაშვილმა.
კომისიის წევრებმა: მალხაზ ბასილაძემ და ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს: 1. საკონკურსო კომისიის შეფასებიდან გამომდინარე, ქალაქ ქუთაისში დავით და კონსტანტინეს ქუჩიდან ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე ასასვლელი კიბეების, დავით და კონსტანტინეს ქუჩიდან ბაგრატის ქუჩაზე ასასვლელი კიბეების, გაპონოვის მე-2 შესახვევიდან კიბულის ქუჩაზე ასასვლელი კიბეების, წერეთლის ქუჩიდან წერეთლის მე-3 შესახვევში ასასვლელი კიბეების აღდგენა-რეკონსტრუქციის და გაპონოვის ქუჩაზე, გაპონოვის მე-4 შესახვევთან მდებარე მკვეთრი მოსახვევის ჯებირის მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს „სასამართლო ექსპერტიზის არქიტექტურისა და მშენებლობის ეროვნული ცენტრი".

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების (მალხაზ ბასილაძე) სამსახურმა გამოყოს სათანადო უფლებამოსილი პირები და უზრუნველყოს „შემსყიდველსა" და „მიმოწოდებელს" შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება–ჩაბარება დადგენილი წესის მიხედვით.

3. საკონკურსო კომისიამ კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დასადებად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ნოდარ მიქიაშვილი

კომისიის წევრები:

ირაკლი ავალიანი

მალხაზ ბასილაძე

ირაკლი გიორგაძე